ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 438

24 სექტემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.061.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოსორგანულიკანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულომდაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.061.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 სექტემბრის №21.1222.1387 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №22-ში, მესამე სართულზე მდებარე 34.10 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.061.01.512) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე რიტა კამკამიძესთან (პ/ნ. 01033006746) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე